ისააკი მშვიდობიანათ ატარებდა თავის დღეებს, ხოლო წარსული შავი ნისლით ჰქონდა გადაფარებული, თავისი ცოლ-შეილი სულ დაავიწყდა. ისევ იმ გლეხის ქოხში დარჩა, ისინი მას აცმევდენ, ასევე-აჭმევდენ თითონ კი მთელი დღეები კლდე-ლრებში და ტყეებ-ბუჩქნარებში დადიოდა და წამლე-ბისთვის საჭირო ბალახებს აგროვებდა.

გაიარა თითქმის ოთხმა წელმა. იქნება მეტ ხანსაც ეცხოვრა ისააკს ასე, რომ ერთი უცნაური ამბავი არ მომხდარიყო.

ერთხელ ისააკი გამოვიდა სოფლიდან ბალახების მოსა-კრეფათ. დასასვენებლათ დაჯდა ერთ მაღალ კლდეზე, რომე-ლიც ზედ გზას გადმოჰყურებდა. ერთბაშათ მოესმა ჯარის თქარათქური. ისააკმა დაინახა აუარება შეიარაღებული კაცები. მხერ ბრწყინვდენ მათი შუბები და ჯავშნები. ქუდის ბუმ-ბულებს წარი იფრიალებდა. ეს იყო მთელი ჯარი. სად თვი იყო და სად ბოლო არა ჩნდა. თვალი ვერ გაუსწრობდა. სურსათებით სავსე ურმებს ჭრიჭინი გაჰკონდა. მძიმე ზარ-ბაზნების ზიდვით აღმართზე ცხენები შუაზე წყდებოდენ. ჯარს წინ მიუძლოდა მშვენიერ ბედაურზე, ოქროს ჯავშნით მორთული, სარდალი.

ისააკს ჯემს გაუკვირდა, ეს ხალხი საიდან გაჩნდათ. ცხე-ნოსნებმაც შეამჩნიეს და დაუძახეს. ისააკი არ დაიძრა, გაშტე-რებით შესკეროდა და რაღასაც იგონებდა, თითქოს სადღაც ენახა ასე მორთული ხალხი.

ისააკი ჩამოათრიეს კლდიდან და სარდალმა ფრანგულათ უთხრა: გვიჩვენე სოფლის გზაო.



ისააკი ჯერ თითქოს რაღასაც იგონებდა, ჟამუშებულის
შესკეროდა, მერე მოვიდა გონჩე და ფრანგულათ ჰყითხა:

— თქვენ ვინა ხართო?

— ჩვენ ფრანგების მეფის, კარლოს VIII-ს ქვეშევრდო-
მები ვართო.

ამათ ძალიან გაუკვირდათ, რომ ვიღაც მოხუცი, გლეხის
ტანისამოსით, აგრე წმინდათ ლაპარაკობს ფრანგულითო.

— ჩვენმა მეფემ, განაგრძეს მათ, გამოუტადა ომი იტა-
ლიას და ამასთანავე პაპსაც. მე რაინდი ტორსი გახლავარ დ
ვარ დანიშნული ამ ჯარის სარდლათ.

ახლა კი ჯემსმა უცბათ მოიგონა თავისი სახლ-კარი, მო-
სიყვარულე ლია და შვილების სიკვდილი. იტაცა თმებში ხე-
ლი და გაიშხლართა მიწაზე.

ფრანგებმა გაკვირვებით შეხედეს ისააკს და საეჭვო კა-
ცათ მიიჩნიეს — ჯაშუში ხომ არ არისო — ჩვენს დასათვალიე-
რებლათ გამოგზავნილიო? ხელიდან არ უნდა გაუშვათ.

ჯარის კაცებმა მაშინვე აიყვანეს ისააკი, ურემზე დასვეს
და ისე მიიყვანეს სოფელში.

ჯარის წინამდლოლმა დეტორსიმ სოფლის მამასახლისები
დაიბარა და სხვათა შორის ჰყითხა ისააკ ჯემსის ვინაობა.

— სადაურია, ან ვინ არის — ჩვენ არ ვიცით, ექიმობა
საუცხოვოთ იცის. ოთხი წელიწადია, რაც ჩვენთან ცხოვ-
რობს. სიკეთის მეტი ჩვენ მაგისაგან არა გვინახავსრაო.

მოიხმეს ისააკი, ის სისუსტით ფეხს ძლიეს ადგამდა,
გაფითრებული, ნალვლიანი იყო, მხოლოთ თვალები გიშ-
ალარ მიუგვანდა

— მე გავიგე, მოხუცო, რომ დახელოვნებული ექიმი
ყოფილხარ, უთხრა დეტორსიმ, ჩვენ გვეჭირვება კაი ექიმები.
გინდა ჩვენთან იმსახურო, რომში წამოხვალ?

ისააკი შეწუხდა. „წასვლა იქ, რომში, სადაც ამას ისეთი
დიდი უბედურება დაატყდა, სადაც, იქნება მისი ცოლი აქამ-
დის ტირილში და ვაებაშია? არა, სჯობს არსად არ წავიდე
და აქ ამ ღატაკ სოფელში მოყვედე.

— შვილებო, ჩემო შვილებო! პასუხათ ამოიკვნესა ისააკმა.



ამ დროს ნათლათ წარმოუდგა ოვალწინ ისააკს ის საშინელი. წამი, როდესაც მან დანა ჩაუტკო შვილს, ცხადათ ხედავდა შიშით გაფითრებულ ბავშვს და მომაკვდავს პაპს.

— შვილებო, ჩემო შვილებო! ამოიკვნესა ხელოხლათ ისააკმა.

უბედური ხრინწიანი ხმით ტიროდა, თმებს იგლეჯდა, კვნესოდა, მაგრამ გიქს სულ აღარა გვანდა.

ფრანგები ხმა ამოულებლივ განცვიფრებით შესკერო-დენ. ისააკი ბოლოს მოვიდა გონს და ფრანგულათ უთხრა:

— მე ვუწამლებ თქვენ ავათმყოფებს, თქვენ დაჭრილებს, წამოგყებით რომშიაც.

ისააკს უნდოდა, თავის თავი დაესაჯა, გამოევლო ხელ ახლათ ტანჯვა, ენახა თავის სახლეარი და ცოლი, ცინ იცის უოცხალი თუ დაუხვდებოდა.

მეორე დილას ექიმი გამოესალმა სოფლელებს და ჯარს გამოჰყეა. სოფლელები ტირილით გამოეთხვენ.

ფრანგების ჯარი თამამად შევიდა უველგან იტალიაში. ქალაქები ერთი-მეორეს მიხედვით ულებდენ ციხე-კოშკებს. ბოლოს ფრანგები მიადგენ ქალაქ რომს. ამ დროს პაპთ იყო ალექსანდრე მეექვსე ბორჯია. ორი წელიწადი იქნებოდა, რაც ინოკენტი მერვე მომკვდარიყო, იმას სისხლის გადაღების შემ-დეგ სამი წელიწადი კიდევ ეცოცხლა.

ფრანგების მეფე მიუხსლოვდა თუ არა რომს, ელჩები მიუგზავნა პაპს, გაგვიღე ციხეებზო. პაპი ხედავდა რომ ფრან-გებთან ომი მათგან შეუძლებელიოდა იყო და გაულო ციხეები. თვით მეფე თავისი ამღლით და ჯარით შევიდა ქალაქში.

ისააკ ჯემსი გზა გზა წამლობდა ავათმყოფ და დაჭრილ ფრანგებს. შევიდენ თუ არა რომში, ისააკი მივიდა დე ტორს-თან და უთხრა:

— ახლა კი გამანთავისუფლეთ, ჯარს ვეღარ გავყვები სხვაგან, მე აქ, რომში, ცოლი მყავს და სახლეარი მაქვს.

ფრანგებმა მადლობა გადაუხადეს ისააკ ჯემსს და გამოე-სალ მენ.

ისააკმა გასწია იქით მხარეს, სადაც ეგულებოდა ოვისი სახლ-კარი და თან ფიქრობდა:

— ცოცხალია ჩემი ლია თუ არა? ნეტა როგორ არი?

ან. წერეთლისა.

(დასასრული შემდეგ)

მძიმე ხეედრი.



ვსტრალიულებმა რომ დაინახეს პირველად დატვირთული ხარები ძლიერ შეშინდათ. მათ ეგონათ ეს ცხოველები კარა, აკი სულები არიან, თავზე შუბათო, სხვებმა კი იფიქრეს, — უსათუოდ ეს თეთრი კანიან ხალხის ცოლები არიან, რადგანაც ეს ხარები დატვირთულნი იყვნ ამ თეთრი ხალხის ბარებით.

ავსტრალიულებს ტყვილად არ მოსვლიათ თავში ეს მოსაზრებანი: თავიანთი ცოლები მათ მართლაც პირუტყვათ მიაჩნიათ, ისეთ პირუტყვათ, რომელიც უნდა ამჟავო და ტყირთი აზიდვინ. ეს ველურები ცოლებს ისე ეპყრობიან, როგორც ნამდვილ პირუტყვებს.

როგორც კი ავსტრალიული ქალი გათხოვდება, ამბობს ერთი მწერალი, მისთვის იწყება ნამდვილი მონიბა. მას ავალებენ უმძიმეს სამუშაოს და ვაი მას, თუ არ შეასრულა. ქმარი სასტიკად და

უმოწყალოდ მოექცევა მას. საზოგადოთ ქალი არ სჭამს მამა-კაცებთან ერთად, ის ზის მოშორებით და ძალლთან ერთად ხიკავს ნასუფრალს, ან რასაც გაღმოუვდებს მისი უფროსი. ტანისამოსი უმეტეს შემთხვევაში მისი ხელითვე არის ნა-მუშევარი. მოგზაურობის დროს მას აჰკიდებენ ხოლმე ბავ-შვებთან ერთად ტყირთსაც.

ასეთ მძიმე ჯაფაში ის რასაკვირველია მალე ბერდება და უძლური ხდება. მაშინმას ყველანი მიატოვებენ საღმე ტყეში, სა-ბრალო მშიერ-მწყურვალი სულსა ლევს, ზოგჯერ მოხდება კიდევ, რომ ერთი კეტის თავში ჩაკვრით გამოასალშებენ სიცოცხლეს,



თ ისე, როგორც ჩვენში იშორებენ ხოლმე თავიდან დაბერე-
ბულ და უღონო პირუტყვს.

ასეთი ხვედრი არგუნა ბეღმა ქალს ველურ ხალხებში..

ყოველგან მისი სი-
ცოცხლე ერთი ჯაფა-
და ვაებაა. ის კრე-
ფავს ნაყოფს, ამზა-
დებს საჭმელს, აშე-
ნებს სახლებს, ხიკას.
შეშას და კერაზე გა-
ნუწყვეტლივ უნთი-
ცეცხლი, აკეთებს თი-
ხის ჭურჭელს, წნავს
კალათებს და ჭილო-
ბებს და ასრულებს
მრავალ სხვა და სხვა
შინაურ საქმეს. და ამ
დროს მამაკაცი, თუ
ის სანადიროთ არ
არის წასული, არა-
თერს არ აკეთებს და

ავსტრალიელების ქალები.

გულგრილად უყურებს, როგორ იტანჯება ქალი ასეთი ჯა-
ფისაგან.

ესკიმოსის ქალები ზიდავენ საზამთრო სახლის აშენების
დროს იმოდენა ქვებს, რომლის აწევას ვერ გაბედავს რომე-
ლიმე ღონიერი მამაკაცი, მათი ქმრები კი უყურებენ მათ და
არც ერთს არ მოუვა ფიქრში მივიდეს და მიეშველოს. სახლის-
აშენების გარდა ამ ქალებმა სადილი უნდა მოუმზადონ თავი-
ანთ ქმრებს, უნდა გამოქნან ტყავი, გააკეთონ ნავები, შეკე-
რონ ტანსაცმელი. სანადიროთ რო წავლენ ქმრები, ისინი მარტო-
ჰელავენ ნადირს, ცოლები მოათრევენ ნანადირევს და ატყავებენ,
ეს საქმეები ძლიერ ძნელია. „ცოლი მუდამ მუშაობს“, გვიამბობს
შესანიშნავი მოგზაური ნანსენი, მამაკაცები კი რო დაბრუნდებიან
ნადირობიდან სახლში არაფერს არ აკეთებენ, სძინავთ და ან-



მუსაიფში ატარებენ დროს. ასეთი უსამართლო განაწილება მწ. შაობისა ძველ დროიდანვეა და მათი აზრით დაკანონებულია, როგორც ყველა ძველებური ჩვეულება.

„ქალი ჯაჩენილია მუშაობისათვის“, გულ გრილად ამ-ბობენ ინდოელები, როდესაც მათ უსაყვედურებენ, თუ რათ ამუშავებთ ამდენს თქვენს ქალებსო და თავისი თავის გა-სამართლებლად შემდეგი ძველებური თქმულება მოჰყავთ: წმინდა სულმა განიტუმ იმიტომ გააჩინა მამაკაცი, რომ მას ქალი დაეცვა და ენადირნა, ქალს კი უბრძანა: ემუშავნა ოჯახში, ეშენებინა საღომი, ეჭრა შეშა, მოექნა ტყავი და დაემუშავებინა ყანები. ასეა ყოველთვის. თავის გასამართლებ-ლად და უსამართლობის დასამტკიცებლად ადამიანი, რომლი-სათვისაც ეს უსამართლოება გამოსადევია, ხსნის მას ლვთიუ-ბრივ ძალით.

ველური კაცი ძლიერ სასტიკად ექცევა ქალს, რადგა-ნაც ქალი მისი აზრით თანასწორი კი არ არის მისი, არამედ რაღაც მდაბალი ქმნილებაა. ქალს ხომ არ შეუძლია იყოს მე-ომარი. და აი ამისათვის ქალი ღირსია ზიზლისა. ამას გარდა ქალი ველურ ადამიანს წარმოდგენილი პყავს როგორც უწმინ-დური ქმნილება. ამიტომაც ქალს ნება არა აქვს, დაეს-წროს ზოგიერთ დღესასწაულებს. ამისათვის ავსტრალიელე-ბი რო დღესასწაულობენ თავიანთ „ბორას“ მათ აქვთ ერთ-ნაირი სატკაცუნოები, იმისათვის რომ ავი სულები და ქალე-ბი არ მიუახლოვდენ წმინდა ადგილს. და თუ რომელიმე ქალი მიუხედავად ამისა მიუახლოვდა იმ ადგილს, მაშინ დღე-სასწაული ითვლება შებღალულათ და დამნაშავეს კი ელის სიკვდილი. ეს არის მიზეზი, რომ ქალი არასოდეს პურს არა სჭიმს კაცთან ერთად. ინდოელი არ დალევს იმ ჭურჭლი-დან, რომლიდანაც დალია წყალი მისმა ცოლმა. ნადირობის და თევზაობის იარაღიც ითვლება წაბილწულად, თუ ქალმა შეახო ხელი.


ასეთია ველური ქალის მდგომარეობა. ველური ქალი მი-ეჩია მას და წარმოდგენილი არც კი აქვს, თუ სხვათრივ შე-იძლება ცხოვრება. ქალი უდრტვინველად იტანს ყოველის-



ფერს. ის ვერა გრძნობს თავის დამცირებას, თითქმ კმაყოფილია თავისი ბედით, მხიარულია, სიცოცხლით სავსეა, როგორც მისი ბატონი და უფროსი.

ჩვენ ამ უნდა გვიკვირდეს, თუ რათ ეძლევიან აგრე სატიკათ ველურები თავიანთ ქალებს, მათ ცხოვრებას ეთანამება ასეთი საქციელი. უნდა გვახსოვდეს, რომ უფრო გან-

ვითარებულ ხალხშიაც დღემდის ქალს უჭირავს დამცირებული მდგომარეობა. ველური მამაკაცი კიდევ შემდეგით მართლულობს თავს: მე ქალი ვიყიდე და რაც მინდა იმას უზამ. და მართლაც ველური ყიდულობს ქალს, როგორც რამე ნივთს. ავსტრალიელი ყიდულობს სხვა თემებში ქალებს და ნაცვლად აძლევს თავის დებს. კალიუფორნიელი ყიდულობს ცოლს „ცხოვრების თანამოგზაურს“ და აძლევს მასში ნახევარ აცმა სადაცის ლინჭილას, რომელსაც სამკაულად ხმა



ინდოელი მეომარი და მისი ცოლი ბარ-გით დატვირთული.

რობენ. თუ საცოლე გამოჩენილი თემიდანაა, თუ დახელოვებულია რკოს მომზადებაში და კალათების მოწვნაში, მაშინ ფასი მატულობს და ორ აცმა საღაფის ლინჭილას უდრის. სხვა ველურები აძლევენ ცოლებში ცხენებს და ტყავებს. აფრიკელი მდიდარი, დიდი საქონლის პატრონი, ცოლში აძლევს ხუთიდან ოცდაათამდე ძროხას. უგინდაში კი ცოლის ფასი უდრის ექვს ნემსს. ველური მიწის მომუშავენი სკვლიან ქალს ცოტაოდენ ბრინჯზე, ხილზე და თევზზე, სამოას კუნძულებზე ღორზედაც. ვისაც აქვს შეძლება ამ რიგათ იყიდის რამდენი-

მე ცოლს და ვისაც არ შეუძლიან იყიდოს ერთი ცოლიც, ის მოჯამაგირეთ დაუდგება თავის სასიმამროს. რამოდენიმე წლის განმომავლობაში ის ემსახურება ქალის ოჯახს და ამ რიგათ შოულობს ცოლს.

ველურებს ჩვეულებაცა აქვთ ქალების მოტაცებისა.

ჩვენ აქამდის ვილაპარაკეთ ველურ ქალების შესახებ. ისიც უნდა დაუმატოთ, თუ რა შესანიშნავი მნიშვნელობა ჰქონდა ველურ ქალს აღამიანის ძველებურ (პირველ ყოფილ) ცხოვრებაში. მუდამ მშრომელმა ქალებმა გაამდიდრეს პირველ ყოფილი კაცის ცოდნა და მოხერხება თავისის გამოგონებით. რომ ცეცხლი არ დამქრალიყო კერაზე, ამისთვის მან მოიგონა თავშესაფარები და ამითი სახლების შენებას დაუდო საფუძველი. როდესაც კარგათ შესანახავად მიწაში ფულავდენ ნაყოფებს, მარცვლებს, ქალებმა შენიშნეს, რომ იქიდან ამოდიოდა ახალი მცენარე და მიწა იძლეოდა მიბარებულს ერთი ასათ. ამნაირათ პირველმა ქალმა გაიგო და შეიგნო მიწის საიდუმლოება. მოწნულ კალათებს გარედგან თიხას წაუსომდნენ, რომ შესაძლებელი ყოფილიყო ცეცხლი დაედგათ. ქალებმავე შეამჩნიეს, რომ მოწნული კალათი რამოდენიმე ხნის შემდეგ იწოდა, თიხა კი მაგრდებოდა და მაგარ ჭურჭელათ იქცეოდა. ამნაირათ ქალმა შეისწავლა ჭურჭლის კეთება.

ბევრი საჭირო ცნობა, ბევრი ცოდნა შესძინა კაცობრიობას ქალმა, მისმა მუდმივმა მუშაობამ ფუჭად არ ჩაიარა. ამისთანა მძიმე ხვედრის შემდეგ უსამართლობათ უნდა მიგვაჩნდეს მისი დამცირება.

ა. ფ.



მშიშარა ფილი.

(თარგმანი)




ამხრეთ ამერიკის ერთ ქალაქში, რომელიც კოლორადოში მდებარეობს, მაღალი მთის ძირად, ერთი უზარმაზარი შენობა იყო აგებული. ეს შენობა სასწავლებელი იყო, ოკტავ სტამფორდის სახელობაზედ აშენებული. მეც ერთ დროს ამ სასწავლებლის მოსწავლეთაგანი ვიყვაო.

ერთხელ, საშობაოთ დათხოვნილები რომ სასწავლებელში დავბრუნდით, გავიგეთ რომ ჩვენ სასწავლებელს ახალი მოსწავლე მომატებოდა. ახალი მოსწავლე იყო ფილი ლიდსე. დაავათმყოფებული ფილი ჩვენ სასწავლებელში გამოეგზავნათ, რომ კოლორადოს ბუნებას მისთვის ჯანმრთელობა დაებრუნდინა.

ჩვენ სასწავლებელში პანსიონი იყო და ფილიც საცხოფრებლით ჩვენთან უნდა ყოფილიყო. ის იმ ოთახში მოეთავსებინათ, რომელშიაც მე მემინა ხოლმე. პირველ ნახვაზე ვერაფრათ მომეტონა ფილის გარევნობა და ჩემი მისვლის მეორე დღესვე გადავწყვიტე, რომ ასეთი უცნაური ბავში ჩვენ სასწავლებელში არასოდეს არც ყოფილა და არც იქნება.

მეორე დღეს ადრე გამომელვიძა; ჯერ ისევ ბნელოდა. ფანჯარასთან დავინახე ფილი, რომელიც ფეხშიშველა იდგა და მოებს გაჰყურებდა.

— მანდ რას აკითხებ? — კითხე მე. — ჯერ ადრეა ადგომა.
— მზის ამოსვლის შევცერი, — მომიგო მან. — მოდი დაინხე რა ლამაზია!



— მზის ამოსვლას? — დავცინე მე. — მერე მზე დასავლე-
თიდან ამოლის, მადეთ რომ იკეირები?

— რასაკვირველია არა. მაგრამ მზის ამოსვლისას პირველი სხივები დასავლეოისკენ მდებარე მთებს მიაშუქებენ. მა-ლი ნახე რა მჟღნიორჩბაა!

თვალების ფშვნეტით წამოვდექ ზეზედ და ფანჯარასთან
მივეღი. ფანჯარაში რომ გავიხედე, საუკხოვო სურათი წარ-
მომიღდა თვალწინ. დაბლობ ადგილებში და სადაც ჩვენ ვი-
ყავით ჯერ ისევ ბნელოდა; — იქ კი თოვლით დაფენილი მთის
მწვერვალი საამურად լოვარებდა მზის პირველი სხივებით გა-
ბრწყინვებული. ფილი ამ სურათს აღარებდა მწვანე აბაუზრით
დახურულ ლამპას.

მაგრამ, ფეხში ცველა ცივ იატაკზე დგომა, ისიც ზამთარ-ში დილის ექვს საათზე არაფრად მომწონდა. მე ისევ საწლ-ში ჩატარები და დატოვვე ფილი, რომ რამდენიც უნდოუდა ეც-ქირა გაბრწყინვებულ მთისათვის.

ზამთარი რომ გავიდა ერთ დღეს ყველანი სასეირნოთ
მთაში გავემგზავრეთ. გზაზედ ჭილი უკან ჩამოვარჩა. და-
ბრუნდი მის საძებრად და, ცოტა ხნის შემდეგ, კლდის პირად
მჯდარი დავინახე. იჯდა მაღალ კლდის ნაპირის, ხელები მუ-
ხლებზე დაეწყო და შორს გაიცირებოდა დაფიქრებული.

— აქ რათ ზინარ? — ვკითხე მე.

ჩემმა ხმამ ფილი ფიქრებიდან გამოიყვანა და უცებ წა-
მოდგა ზეზედ.

— օվերան թոնը զարդարեց գալաքիական օպերան; Տռվա բուլմա.

— მინდვრებს? დაკინვით ვკიოხე მე. — მერე რას ხელავ იქ ისეთს?

— ეს გაშლილი მინდვრები ძალიან გვანან ზოვას!

და მართლაც, ოოცა მეც დაკვირვებით გადავხედე თვალ
უწვდენ ელ გაშლილ მინდვრებს, უნდა გამოვტყდე, ფილი მარ-
თალი იყო. ვაკე მინდვრები, რომლებზედაც ზღვის ტალღ-
ბივით ღელავდა მაღალი ბალახი, გასაოცრად ჰგავდა ზღვის. მინდვრის ნაპირას მიმავალი ოკინის გზის მატარებელი ზღვის ხმ-
ბალის მოგაგონებდათ და ეს უფრო აძლიერებდა ამ მსგავსებას.



თანდათან ვატყობდი, რომ ფილი ისეთს რამეებს ხედავ-და და აქცევდა ყურადღებას, რასაც მე ან არ ვამჩნევდი, ან არ ვაქცევდი ყურადღებას.

ჩვენ სასწავლებელში ფილის ზარმაც და უგნილ ბავშვათ სოფლიდენ. ის არასოდეს არ ჩქარობდა, ნელა მოძრაობდა, მაღ იღლებოდა და პირველ შეხედვით, მართლაც, ზარმაცს ჰყანდა.

პირველად მეც მაგ აჩრისა ვიყავი ფილზე; მაგრამ მას-თან კარგად დაახლოვების შემდეგ—ჩვენ ხშირად ვიყავით ხოლმე ერთად—გავიგე, რომ ფილი სრულებითაც არ იყო უგუნური და ზარმაცი, როგორც სხვა მის ამხანაგებს ეკონათ.

ფილის სიწყნარისა და ნელი მოძრაობის მიზეზი ის იყო, რომ ფილს ჩვეულებად ჰქონდა გადაქცეული ფრინველების და მხეცების ცხოვრების დაკვირვება. ბევრი მათგანი ფილს არ კი ენახა კოლორადოში მოსვლამდის, მაგრამ სულ მცი-რე ხნის განმავლობაში იმდენი იცოდა ფრინველების ცხოვ-რებაზე, რაც არ ვიცოდით არც ერთმა ჩვენგანმა. ფილი ხში-რიდ აგროვებდა ათასგვარ პეპელებს და ჭიებს და ინახავდა პა-ტარა ყუთში, რომელიც საწოლ ოთახის კუთხეში ჰქონდა. შენახული. ზედამხედველმა ერთხელ ნახა ეს ყუთი და გარეთ გადაისროლა. ფილს არცკი სწყენია ეს; იშოვნა ახალი ყუთი და ხელახლა შეუდგა პეპელების და ჭიების მოგროვებას.

მე და ფილი არაფრით ვგვანდით ერთმანეთს; მაგრამ ამან ვრ შეუშალა ხელი ჩვენ ერთგულ ამხანაგობას.

ფილის აზრი და შეხედულება ხშირად გაუგებარი იყო ჩემთვის, ბევრი მისი აზრები უცნაურადაც მეჩვენებოდა, მა-გრამ მისი ხასიათის ერთი მხარე ძალიან მომწონდა. ის კეთი-ლი და სულგრძელი ბავშვი იყო და ყოველთვის ამხანაგების სი-კეთებე ფიქრობდა.

ჩვენი სასწავლებლის მოსწავლეთა შორის იყო ერთი გამხდა-რი, მაღალ-მაღალი ჩვიდმეტი წლის ყმაწვილი ტონი ბლენიქენი. ტონი მთელ სასწავლებელში ყველაზე ხნიერი იყო. პატარა მოს-წევლენი ტონს გასაჯავრებლად „ახმახს“ ვეძახდით, თუმცა მას-თან ამის თქმას ვერც ერთი ჩვენგანი ვერ გაბედავდა, ისე გვე-



შინოდა მისი. ტონი რაღაც უცნაური ხასიათის უწყვეტეს ბედავდა და გაჯავრებდა მას რომელიმე ჩვენგანი, ტონი მა-შინ არასფერს არ ეტყოდა; ისე აჩვენებდა თავს, თითქოს არც კი გაეგონოს გაჯავრება. მაგრამ როცა ამას ყველა ჩვენგანი დაივიწყებდა, ტონი დროს იხელთებდა და ისეთს რამეს ეტყოდა გამჯავრებელს, რომ უხერხეულ და სასაკილო მდგომარეობაში ჩააყენებდა...

აი ამ ახმახბა ფილს მშიშარა უწოდა, მხოლოდ მისთვის, რომ ფილმა უარი სთქვა ჰაპიროსის მოწევაზე. ფილს ძალიან ეჯავრებოდა ჰაპიროსის სუნი და არ უნდოდა მითი თავი გაებრუებინა, მეტადრე იმ აზრით, რომ ახმახს სასწავლებელში წესიერების დარღვევა ესიამოვნებოდა. ამ შემთხვევის გამო ა-მახმა ფილს დაუინებით მშიშარა უწოდა. ეს ამბავი მაღლ შე-იტყო მთელმა სასწავლებელმა და ყველა მოსწავლეები დარწმუნებული იყვენ, რომ ფილი მართლა მშიშარაა.

მარტო მე ვერ ვეთანხმებოდი ამ აზრს, რადგან კარგად ვიცოდი ფილის ხასიათი და დარწმუნებულიც ვიყავი, რომ თუ საჭიროება მოითხოვდა ფილი თვით ახმახზე მეტ გამბედა-ობას გამოიჩნენდა. არც მოვტყუვდი. მე გიამბობი იმ შემთხვევას, რომელმაც ჩემი შეხედულება დაამტკიცა და მთელ სასწავლებელი გამოაცვლევინა ფილზე თავისი ჰაზრი.

კოლონადის ჰავამ დიდი სარგებლობა მოუტანა ფილს. რავდენიმე ხნის შემდეგ ისიც ჩვენსავით ჯანმრთელი და ღო-ნიერი შეიქნა. ენკერისთვის პირველ რიცხვებში ათი ვოწაფე, —და მათ შორის მე და ფილიც, —მთაში უნდა გამგზავრებულიყავით ნიადაგის დასათვალიერებლათ.

სასწავლებლიდან დილით ადრე გავემგზავრეთ. მატარებ-ლით გავიარეთ ორმოც ვერსამდე და გადმოვედით ერთ პატარა სადგურზე. სადგურიდან მთისკენ გავეშურეთ. გზაზედ პატარა ფერმის ახლოს გავიარეთ; ცოტა მოშორებით შეე-სვდა თიოთ ფერმის პატრონი, რომელსაც ურმით შეშა მი-ქონდა. იმ ადგილას ცოტა ხანს შეეჩერდით, რადგანაც მას-წავლებელი მეურმეს გზის ამბავს ჰკითხავდა და ისევ გავუდე-გით გზას. ცოტა რომ გავიარეთ, გზაზედ ნაჯახი გიპონეთ.



შეიძლოა ფილი

მე მივხვდი, რომ ეს ნაჯახი მეურმისა იქნებოდა და თან წავიღე, რომ დაბრუნებისას ისევ მეურმისთვის გადამეცა. მთას რომ მიუახლოვდით, შარა გზიდან გადავედით და მთისკენ შეუხევეთ. მთის გზა მდინარის პირად მიდიოდა. მალე ავედით კაშლილ მაღლობზე, სადაც მდინარეს სხვა ტუტი უერთდებოდა. ამ ადგილას მთელი ჩვენი ჯგუფი ორათ გაიყო. ხუთი ჩვენგანი „ახმახის“ მეთაურობით მარტხნივ უნდა წავსულიყავთ; მაღალ კლდეზე ავსულიყავთ და ნიადაგის ნიმუშები სამოგვეტნა. მასწავლებელი და ხუთი მოსწავლე კი ისევ მდინარის ნაპირის გზას გაუდგენ.


ჩვენ ძალიან კმაყოფილი დავრჩით, რომ ნება მოგვცეს თავისუფლათ გვემგზავრა, თუნდა „გენერალ ახმახის“ მეთაურობით, და მხიარულათ გავეშურეთ დანიშნულ ადგილისაკენ. სწრაფად ავცოცდით რამდენსამე ადგილას მოლიპულ კლდე-ქმნედ. თავისუფლად გავდიოდით მოტეხილ ხეებზედ, გზაზედ კავროვებდით რაც საყრდადლებო რამე გვეჩვენებოდა და ფრინველებს ქვებს ვესროდით, — ერთი სიტყვით ისე ვიქცეოდით, ხოგორც მოსწავლეებს შეჰვერის.

პატარა ხანს შემდეგ გავიარეთ ტყე და ეხლა მინდობაში გავდით. უცებ რაღაც ფაჩუნი შემოგვესმა და ბალახებიდან გამოხტა პატარა მოკლე ფეხებიანი ცხოველი, რომელიც ძალიან ჰგავდა შინაურ გოჭას. შეშინებულმა ცხოველმა ერთი გამოიხედა ჩვენსკენ და მერე რაც ძალი და ღონე ჰქონდა გაიქცა ტყისაკენ. ჩვენც ერვილ-ხივილით უკან გამოუდევით.

ფილს არ მიულია მონაწილეობა ჩვენ ნადირობაში. ის ღაჯდა ტყის ნაპირას დასასვენებლათ, იქვე ჭიის ბუდე ენახა და დანით სოხრიდა მიწიდან ბუდეს. ნადირობა რომ გავთავთ ფილთან ვზრუნდებოდით, მაგრამ ჯერ არ მივსულიყავთ ახლოს, რომ ის უცებ წამოგარდა ზეზედ, შეშინებული გამოიქცა ჩვენსკენ და თან ყვიროდა:

— გაიქეცით! გაიქეცით! ეს... მაგრამ ჩვენ ისე ვყვიროდა და ვხმოურობდით, რომ ვერც ერთმა ჩვენგანმა ვერ გაეგებ რასაც ფილი ამბობდა.

ამ დროს გვერდით ჩამოგვირჩინა პატარა კურდლელმა და



უცებ ტყეში შევარდა. ის იყო უნდა შევსულიყავით ტყეში, რომ იქიდან ხეების ლაწა-ლუწი შემოგვესმა და ტყიდნ უზა-მაზარი ძუ-დათვი გამოვარდა!..

ჩვენ შეშინებული, იმ წამსვე აქეთ-იქით გავითანტევ და ახლო-მახლო ხეებს მივაშურეთ, რომ ზედ ავსულიყავით. „ას-მახს“ დაავიწყდა, რომ ის მეთაურობდა ჩვენ პატარა გუნდს და ისე გარბოდა. თავისი გრძელი ფეხებით, რომ ერთ წამში ხეზედ გაჩნდა. დანარჩენებმაც მის მაგალითს მიბაძეს; მეკი... მე დავრჩი მარტო.

დავინახე თუ არა დათვი, მეც დავაპირე გაქცევა, მაგრამ ნაჯახს წამოვკარ ფეხი და დავეცი. მაშინვე ისევ წამოვდექი ფეხზე, მაგრამ მაინც იმდენი ველარ მოვასწარი რომ ხეზე აფ-სულიყავ.

ძუ-დათვი ორი-სამი ნახტომით მოჰეჭია და ისეთი სი-ძლიერით დამცა ბეჭებზე თავისი მძიმე თათი, რომ მე უკრ-ძნობლათ გავიშხლართ მიწაზედ.

განძრევა ველარ შევძელი; ვერც ერთ სახსარს ვერ ვაშუ-შავებდი და ამან დამიხსნა სიკვდილიდან. დათვმა მკვდრათ ჩამთვალა და იმის მაგივრათ, რომ ლუკმა-ლუკმად დავევლი-ჯე, როგორც ვფიქრობდა, ჩემ სუნთქვას უკვირდებოდა და თან აქეთ-იქით მაბრუნებდა, რომ გაეგო ცოცხალი ვიყავი თუ არა.

უცებ დათვმა საშინლად დაიღრიალა და „ახმახის“. ხმა-შემომესმა, რომელიც ვიღასაც უყვიროდა:

— უკან წამოჟი! შენ რაღას უშველი მაგას; შენც მასა-ვით მოგკლავს!

სჩანს, რომ ახმახიც იმას ფიქრობდა, რასაც დათვი: ორი ვენი მე შკვდრათ მოვლიდენ.

ამ ყვირილზე მე ცოტა გონს მოვედი. მოუთმენლათ მინ-დოდა გამეგონ, ჩემსკენ ვინ მოდიოდა და უცებ ოდნავ ხელი გავიქნიე. დათვმა იმ წამსვე წაატანა პირი ჩემ ხელს და ისე-თი ტკიფილი ვიგრძენ კედნისაგან, რომ გონება დავკარგე.

მას შემდეგ აღარ მახსოვს რაც მოხდა, მხოლოდ ამხან-გების ნაამბობს გადმოგცემთ.

ფილმა დაინახა თუ არა, რომ დათვი მე მომვარდა, მშენებლის მიერ რომ ხეზე ასულიყო, ნაჯახს წამოავლო ხელი და ჩემ საშეელათ გამოექანა.

ეს რასაკვირველია უგუნურათ ჩიოთვლებოდა, მაგრამ ფილმა გაბედა და სრულიადაც არ უფიქრია იმ განსაცდელზე, რომელიც მას მოელოდა


ფილს თითქოს არ ესმოდა ახმახის სიტყვები, მომარჯვებული ნაჯახით მოდროდა ჩემსკენ და თან დათვს თვალს არ აშორებდა. დათვმა გაუშვა პირი ჩემ ხელს; გადაიარა ჩემსხე-ულზე და ერთი საშიშრად დაიღრიალა და თავისი ბასრი კბილები დაკრიჭა. ამან ვერ შეაშინა ფილი; ის გაბედულად მიღოდა დათვისკენ და ბოლოს ერთი ადლის სიშორეზე გაჩერდა; დათვიც მიუახლოვდა და მაშინ აღელვებულმა ფილმა რაც ძალი და ლონე ჰქონდა დაჰკრა დათვს ნაჯახი და თავი შეა გაუბო.

მაგრამ დათვება მაინც გადაუხადა სამაგიერო. მოკრიფა უკანასკნელი ძალა, დასცა ფილს თათი და ისე მძლავრათ ჩაუჭირა ბრჭყალები, რომ გულზედ სამი ლრმა იარა დააჩინა. კიდევ წამი — და ფილი წაბარბაცდა და დათვის გაციებულ გვამზედ დაეცა.

აღარ მახსოვს როგორ დავბრუნდით სასწავლებელში. ვიკი მხოლოდ, რომ დიდხანს ვიწევი ავათმყოფი ნაკბენი ხელით და დალურჯებული ზურგით ისე დასუსტებული ვიყავი, რომ თავისუფლად განძრევაც არ შემეძლო. მაგრამ ფილზე მაინც ადრე მოვრჩი.

ჩემი მორჩინის შემდეგ გავიდა ერთი კვირა. ყველანი სკოლაში ვისხედით და ვსუბრობდით. უკვე ძილის ღროც მოახლოვებული იყო და საწოლ ოთახში მივდიოდით. უცემ მასწავლებელი შემოვიდა და გვთხოვა, ცოტა ხანს მოიცადეთ, თქვენთან სალაპარაკო მაქვსო. სანამ ჩვენ გაკვირვებული ერთ-მაჩეთს შევცეკეროდით, მასწავლებელი გარეთ გაუიდა და შემ-დეგ ფილთან ერთად დაბრუნდა.

დასუსტებული ფილი ფეხზე ძლიერ იდგა. ჩვენ დავინა-ხეთ თუ არა ის, ყველანი სიხარულით მისკენ გავეშურეთ.



— წყნარათ, წყნარათ! — გვითხრა მასწავლებელმა. ჩვეულები რიგრიგობით მივდიოდით ფილთან, ხელს ვაწვდიდით, ვულო ცავდით მორჩენას და ჩვენთან დაბრუნებას. ფილიც ყველას გვიპასუხებდა:

— მაღლობთ! მაღლობა!

— აბა, ფილ, ახლა უმჯობესია წახვიდე აქედან, უთხრა მასწავლებელმა, თორემ თქვენ დალლილობა გაწყენთ; მე კი უნდა შენ ამხანაგებს ორიოდე სიტყვა უთხრა.

ფილი ორშა ამხანაგმა გარეთ გაიყვანეს. მასწავლებელი მოვციახლოვდა და გვითხრა:

— მე ძალიან გამეხარდა, რომ ასე მხიარულად შეხვდით ფილს... თქვენც კარგათ იცით, რომ ფილმა სიკვდილს გადაარჩინა ერთი თქვენი ამხანაგი. შესაძლო იყო გაეწირა თავი. მე მინდოდა მეთქვა თქვენთვის, რომ ეს კეთილშობილური საქციელია! ზოგიერთი თქვენგანი კი იმ ყმაწვილს მშიარის ეძახდა

ტ. ვეფხვაძე.



დაძიან დე გერსტერი,

ავათაშოთა მემორარი.



ამიან დე ვერსტერი შთამომავლობით ბელგიელი იყო. მამა მისი მიწის მუშა იყო და ბავშობა სოფელში გაატარა. ბავში იქვე სოფლის სკოლაში სწავლობდა. როდესაც ცოტა წამოიზარდა, მშობლებმა გაგზავნეს სასწავლებლით სავაჭრო სკოლაში. მშობლებს უნდოდათ, რომ მათი შვილი გამოსულიყო ვაჭარი ან გექარხნე. მაგრამ დამიანს სრულებით არ მოსწონდა არც ერთი ეს ხელობა. ის სასწავლებლის უფროს კლასში იყო, როდესაც ერთხელ შემთხვევით დაესწრო მისსიონერთა ერთ კრებაზე. მისსიონერები უამბობდენ საზოგადოებას, თუ როგორ ავრცელებენ ქრისტიანობას ველურ ხალხთა შორის, რომ საშიშო და ძნელია ეს ასპარეზი. რამდენი სიმშილი, სიცივედა შეურაცყოფა აუტანიათ ამათ მხოლოდ იმისთვის, რომ ძნელ ველურ ხალხს შეიტანონ ნათელი შექი.

დამიანის ოვალ წინ გადიშალა სულ ახალი ცხოვრება, მან მოიწადინა, იმათსავით ეღვაწნ-ემუშავნა ველურთა შორის. დამიანმა მიანება სწავლა და შევიდა მონასტერში, მაგრამ ახალგაზდა იყო და ჯერ არსად არ გზავნიდნენ. ბოლოს, როგორც იყო, მისი სურვილი ასრულდა, იგი გაგზავნეს ჰავაის კუნძულებზე (დიდ ოკეანში). დამიანი საჩქაროდ მოემზადა და წავიდა. ხუთი თვის ძნელ და ხიფათიან მოგზაურობის შემდეგ დამიანმა მიაღწია ამ კუნძულების დედა ქალაქს გონილულს და მეორე დღესვე გასწია თავის მრევლანან. ნატერა აუსრულდა — ის იყო დარიბ, ძნელ ძმათა შორის, რომლებისათვის უნდა ჩაეგონებინა იქსო ქრისტეს სწავლა და შეეტანა მათ ცხოვრებებში ნათელი. ათი წელიწადი



იმუშავა დამიანძა აქ. ათი წლის განმომავლობაში ის პიგებზე და და ასწავლიდა ხალხს სიკეთის მიღწევას

თავის მოგზაურობის დროს, სხვა და სხვა ხალხთა შორის, დამიანს ხშირად შეხვეულია კეთროვანით ავატმყოფნი—კეთროვანი საშინელი ავატმყოფნაა. ის ნელა ნელა სჭამს, იღნობს აღამიანის სხეულს. ჯერ ტანზედ ჩნდება აქა იქ რაღაც ლაქები, პირველად სახეზე და ხელ-ფეხზე, მერმე ვრცელდება მთელ ტანზე. იმ ადგილებზე, სადაც ეს ლაქები ჩნდება, კანი მაგრდება და აბურცდება,— გაკაუებული კაკლის ოდენათ ხდებიან. პირისახე უსივდებათ, თვალები სულ პატარათ მოჩანთ. თმა და წარბები სცვივათ— ავატმყოფს, სახე საშინლად ემანჭებათ. ხანდისხან ამ კოურებზე იარა ჩნდება და მაშინ ხომ ადამიანი საზარელს შეხედულების წარმოადგენს.

ამდენი ხანია ნამდვილი საშუალება ვერ უპოვნიათ ამ ავატმყოფნის საწამლავათ, მისგან მორჩენა შეუძლებელია. როდესაც პირველად ჰავაის კუნძულებზე ეს სენი გაჩნდა, ამ კუნძულების მკვიდრთ არ იცოდენ რომ გადამდებია და სრულებით არ ერიდებოდენ. კეთროვანი გავრცელდა ყოველგან. მაშინ მთავრობამ გამოსცა ბრძანება— ყველა ავატმყოფები გაედევნათ ერთ კუნძულზე— აირჩიეს კუნძული მოლოდი— აქ მოჰყავდათ ყყელა ავატმყოფები. საშინელს სურათს წარმოადგენდა ეს კუნძული, სადაც სცხოვრობდენ ასობით ავატმყოფნი, საცოდავნი, უსახლკარო, დამახინჯებულები, ისინი დაეხეტებოდენ ნაღირივით. არც სახლი ჰქონდათ, არც ტანისამოსი, არც საჭმელი. ყოველისფერს მოშორებულნი— ნათესავებს, ამხანაგებს. ამ ავატმყოფებმა დაიწყეს საშინელი ლოთობა და გარყვნილი ცხოვრება. რასაკირველია ავატმყოფნა უფრო და უფრო ძლიერდებოდა ამ მიზეზების გამო. ბევრი ტანჯვის შემდეგ იკინი კვდებოდენ ყველასაგან მიტოვებულნი.

ძლიერ იშვიათად თუ ინახულებდენ ამ კუნძულს მდვდელი, ან ვინმე მოხელე, ისინიც სულ მოკლე ხანს რჩებოდენ აქ— ამ უბედურების საშინელი შეხედულება მათ აშინებდა, ეგონათ რომ ეს სენი გადაედებოდათ. გადიოდა წლები და არც

ერთხელ დამიანს სხივი არ ეკარებოდა ამ ცოცხალთა ბნელ სამარეს.

ერთხელ დამიანს მოუხდა ამ კუნძულზე მისვლა. როდე-
საც გემი შევიდა ნავთსალგურში და დამიანი გამოვიდა ნაპირ-
ზე, ავათმყოფები შემოეხვიენ მას. დამიანს უწინაც ენახა ამის-
თანა ავათმყოფები, შაგრამ ახლა, როდესაც ასობით ერთად
შეკრებილნი, დამახინჯებულნი, დაჩირქებული სახით წარმო-
უდგენ მას თვალშინ, შიშისაგან უკან დაიხია. სიბრალული-
საგან დამიანს გული უწუხდა, როდესაც მათი ქოხები დაი-
რა და ახლოს ნახა მათი ცხოვრება. მყრალ ქოხებში მან ნახა
ქარები, ბავშვ ბი, ტალახში მწოლიარე, დაჩირქებული წყლუ-
ლებით, არავრც არ უვლიდა მათ, არ უწმენდდა იარებს. ბევრს-
წყალიც არა ჰქონდათ დასალევათ. ზოგიერთ ქოხებში მთვრა-
ლებიც კი ეყარენ, ზოგიერთები მყვდრებიც, რომელნიც არა-
ვის არ დაემარხა. ის იყო სწორეთ ჯოჯოხეთი.

დამიანი დაბრუნდა გონილულუში, მაგრამ მთელი გზა-
ხმა არ ამოულია და ძლიერ ჩაფიქრებულიც იყო. სევდა ლო-
დივით აწვა გულზე. ის დაუბრუნდა თავის მრევლს, მაგრამ
კვლავინდებურად ვეღარ ეკიდებოდა თავის საქმეს: მას თვალ-
შინ ედგა ნახული საშინელი სურათი. ბოლოს დამიანმა სთხო-
ვა უფროსს, გაეჭვა იგი მოლოგაის კუნძულზე და დაეტოვე-
ბინათ იქ სამუდამოთ. დამიანს ურჩევდენ არ ექნა ეს, მაგრამ
დამიანი თავისის არ იშლიდა, მე მარტო ერთი რამ ვიცი — ეს
ის, რამ შეუძლებელია ადამიანის მიტოვება უიმედოდ და
უპატრონოდ. დამიანი გამოემშვიდობა თავის მრევლს და წა-
ვიდა იმ კუნძულზე, რომ სამუდამოთ იქ დარჩენილიყო. იქი-
დან დაბრუნება შეუძლებელი იყო, რადგანაც შეეძლო გადამ-
დები სენის გადმოტანა.

მძიმე საქმე ელოდა დამიანს. ის იყო ერთი, ავათმყოფე-
ბი კი 800 კაცი. მისვლისთანავე საქმეს მიჰყო ხელი. გაიყვა-
ნა წყალი, დაიწყო სახლების კეთება. ამ საქმეში მას ეხმარე-
ბოდენ უფრო ჯანსალი ბვათმყოფები. ააშენა თავშესაფარი
ობლებისათვის, სკოლა ბავშვებისათვის.

ავათმყოფებს არა ჰქონდათ საკმაოდ საჭირო. ბევრნი
ოხოცებოდენ შიმშილით. დიდი თხოვნის და მუდარის შემ-

დეგ დამიანის მხრივ, მთავრობაშ დაიწყო ხორაგეტურობის და გზავნა კუნძულზე. ამგვარათ თავის მდიდარ მეგობრები უნცნობებს სოხოვდა ტანისამოსს და სხვა და სხვა საჭირო ნივთებს.

ავათმყოფებს ძალიან შეუყვარდათ დამიანი. იგინი ხე-დავდენ, რომ ის მთელი დღე მუშაობდა მათოვის — ხან ცუ-ლით ხელში მიღიოდა შენობაზე, ხან ავათმყოფებს წყლუ-ლებს უხვევდა, ხან ბავშვებს ასწავლიდა, ხან უქადაგებდა, ხან მათთან ერთად ლოცულობდა, ხან მათ მკვდრებს მარხავდა. ვინც სუსველაზე ბოროტი და უდარდელი იყო, იმაგ გულში-აც გაიღვიძა რაღამაც, მათ შერცხვათ თავისი უწინდელი ცუ-დი ცხოვრებისა და გამოიცვალენ. ბევრნი მათგანი თვითონ მოღიოდენ დამიანთან. საავათმყოფოში, რომელიც მან ააშე-ნა, ავათმყოფები უვლიდენ ერთმანეთს. თვითონ დამიანე მუ-დამ იქ იყო და საათობით უჯდა მამაკვდავებს, ანუგეშებდა მათ, ამხნევებდა. უწინ იგინი კვდებოდენ მარტოთ-მარტო, მი-ტოვებულნი, ახლა კი ხედავდენ ალექსიან სახეს კეთილი აღა-მოანისას მათკენ მიბყრობილს. დამიანის თვალები სიყვარუ-ლით შესცემოდენ მათ, მისი სიტყვები სავსე იყვენ სიყვა-რულით და ნუგეშით.


ათ წელიწადზე მეტი გასტანა დამიანემ და ავათმყოფო-ბამ ვერა დაუშავარა. მაგრამ ერთხელ დამიანემ დაინახა ტან-ზე რაღაც ლაქები; რამდენიმე დღის შემდეგ აუბურცდა კანი, დამიანემ არავის არა უთხრა რა, თუმცა კარგად იცოდა, რომ ავათმყოფობა შეეყარა. კვლავინდებურად ის მუშაობდა, მიუ-ხედავად იმისა რომ ცუდათა გრძნობდა თავს. ავათმყოფობამ მთელი მისი სხეული შეიპყრო. მაგრამ სანამ მისი თვალები იხედებოდენ და ენა ემორჩილებოდა, ის თავს არ ან ებებდა თავის საბრალოებს. თავის უკანასკნელ წერილში დამიანი სწერს: „მიმძიმს წერა. ავათმყოფობა ძლიერდება. მაგრამ მიუ-ხედავად ამისა მე ბედნიერი და კმაყოფილი ვარ, მარტო იმს ველი, რომ ასრულდეს ნება უფლისა“.

გავიდა კიდევ ცოტა ხანი — ავათმყოფი ოთახიდან ველარ გამოდიოდა. ხანდისხან ის ჭლიერ იტანჯებოდა. ბოლოს ძა-

ლის ძალით ჩააწვინეს იგი ლოგინში. დამიანს ლაპარაკი აღარ შეეძლო, ის მაგრად ართშევდა ყველას ხელს, თითქოს თავისი სიყვარული ამითი უნდოდა გამოეხატა. გაისმა ზარის გულ-საკლავი ხმა მთელ სოფელში, ავათმყოფების კვნესა და გმინ-ვა ატყუა.

დამიანე დაასაფლავეს ორი ათას სხვა საბრალო განდევ-ნილებთან, რომელიც დამიანესვე ხელით იყვენ დამარხულ-ნი. დამიანი აღარ იყო, მაგრამ მისი სიყვარული აღამიანისა-ღმი სამუდამოთ დარჩა დამიანე აღარ არის, მაგრამ მისი შიმ-ბაძველები მის საქმეს განაგრძობდნ.

ც.



ზღაპრული მოვლენა გუნებაში.

სისოებისა.



აზოგადოთ ვინც დაჩვეულია სინათლეს — ბნელაში ვე-
ლარასა ხედავს, ისეც, ვისაც ბნელაში აქვს დაჩვეული
თვალი — სინათლეს ვერ უძლებს.

მთელი დღეობით ცხარე მზეზე მფრენავი ავსტრალიის
ჩიტუნია „ამანდინა“ როდესაც შეაფარებდა თავს რომელიმე
ბნელ კუთხეს — ველარ გაიგნებდა გზას მისთვის კი საჭირო იყო
ბუდის გასაკეთებლათ ბნელი კუნკული, რადგან ლია, ნათელ
ადგილებში მას ბუდეს უნადგურებდენ სხვა და სხვა მტაცებე-
ლი პირუტყვები.

ამანდინამ გაიფიქრა ერთხელ ბუდის გაკეთება ერთ ბნელ
გამოქვაბულში. აქ არავინ მიაგნებდა არც მის კვერცხებს და არც
მის ბუდეს, ვერც ერთი მისი მუჟერი ვერ შევიდოდა შიგ სი-
ჩიმე და სიწყნარე სუფევდა აქ. დედალ-მამალ ამანდინამ მთა-
ხერხეს აქ ბუდის ჩადგმა და დაუსახლენ კვერცხებს. როდესაც
კვერცხებზე ოჯახ დედალი ჩიტუნია და მამალს უნდოდა მის
მაგიერათ კვერცხებზე დაჯდომა, დიდხანს ეძებდა ხოლმე ბუ-
დეს, სინათლიდან შემოფრენილი ვერას ხედავდა. მაგრამ დე-
დალი ჩიტუნია ხმას მიაწვდენდა და ისიც მაშინვე მივიდოდა
მასთან და იმის ალაგას დაჯდებოდა. როდესაც დედალი და-
ბრუნდებოდა უკანვე, ახლა მამალი ჩიტი გასცემდა ხმას.

გამოიჩეკენ ბარტყები. ერთხელ მამალ-დედალი წავიდენ
საზრდოს საშოვნელათ. ნისკარტით მწერები წამოილეს და და-
ბრუნდენ თავიანთ გამოქვაბულში, მაგრამ ბარტყები ვერ მო-
ნახეს, რომ საზრდო მიეწოდებინათ.

სულელი, მშიერი ბარტყები ხმას არ იღებდენ, ხოლო
პირს იღებდენ და ელოდენ საჭმელს. ტყუილ მოლოდინში
იყვენ. მშობლები ვერ პოულობდენ მათ.



ჭდაპრული მოვლენა ბუნებაში

* *

გავიდა საუკუნოები. ამანდინა კვლავანდელივით ნათელ
და ლია ადგილებში არ იკეთებს ბუდეს ის არჩევს კლდეებში
და ხის ფულუროებში ბნელ და წყვდიად ადგილებს. ის, რო-
გორც წინეთ, ბნელაში ძნელათ არჩევს ბუდეს, მაგრამ მისი
ბარტყები უსაზრდოოთ არა რჩებიან.

ნეტა ამანდინას ვინა შველის ბარტყების პოვნაში?
ვინა და ჯადოსანი ბუნება!

ჩიტუნიამ რომ უდარდელათ გამოჩეკოს ბარტყები და ბუდე
გაიკეთოს იქ, სადაც საჭიროთ დაინახავს, ამისათვის ბუნება
ახლა ხელს უწყობს. ბარტყებს თავზე გამოაბა პატარა ლიფ-
ლიფები. ეს ადამიანის სანათი კი არ არი, ხოლო ბარტყები
ნისკრტის გვერდით და ლოყაზე აბია ცისფერი კორძი

როდესაც დედა ჩიტი შეფრინდება ბნელ გამოქვაბულში
საცა ბუდე აქვს, ეს სანათურები ანათებენ ფოსტორის წყა-
ლობით ცისფრათ და დედა-ამანდინა აღვილათ პოულობს თა-
ვის ბარტყის გაღებულ პირს.

როდესაც ბარტყები გაიზრდებიან და საზრდოს შოვნას
თითონვე შესძლებენ, მაშინ ეს ცისფერი, ბნელაში მოციმციმე,
კორძები, რადგან მათში ოდარ საჭიროებენ, თავისთავათ ქრე-
ბიან.

(თარგმანი)






ა ნ დ ა ზ ე ბ ი.

(წარმოდგენილი პ. სესნიაშვილის მიერ)

ეკლისა ძირსა ერიდე, ეკალს მოისხამს შხამითაო.

ქურდს სწორე გზა და სწორე სიტყვა ვინ მისცაო.

სახლის კარი ლით იყო, ძაღლს სვინიდისი არა ჰქონდაო.



ა მ თ ც ა ნ ა:

ეს ნახატი ჯვარი 17 სწორ ნაჭრათ არის დაყოფილი. შუა გულში, სადაც წერტილია, ჩასვით რიცხვი 17 და ყოველ ორ-ორ ნაჭერში, რომელიც ამ წერტილამდის მიდის, ჩასვით ორი ციფრა, რომ ერთმანერთთან მიმარტებით ყოველ-თვის გამოვიდეს 17.



1909 წლის აპრილიდან გამოდის

ყოველდღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

ԲՅԱԲՈ ՏԳՐԱ

იმავე პროგრამით, როგორც გამოდიოდა.

გაზეთს ჰყავს საკუთარი კონესპონდენტები ეცრობაში,
სპარსეთში და სახელმწიფო დუმაში.

გამოს ვასი:

1. წლით. 6. თვეით. 3. თვეით. 1. თვეით.

ତେଣୁଳୁକୁଳ 7 ମାର୍ଚ୍ଚ. 4 ମାର୍ଚ୍ଚ. 2 ଜାନ୍ଦୀ 20 ଜାନ୍ଦୀ 80 ଜାନ୍ଦୀ.

ქალაქ გარეთ. . . 7 მან. 4 მან. 2 მ. 50 კ. 90 კიბ.

საზოგადო გარეთ. 10 მან. 5 მან. 3 მან. 1 მან:

კაზთის გამოწერა შეიძლება მხოლოდ თვის პირველ რიცხვიდან.

ବ୍ୟାଲ୍ କୁ ନେମିରଣ ପ୍ରତିଲିଙ୍ଗାନ ୫ ପାତ.

სელისმოწერა მიიღება რედაქციის კანტორაში, „წერა-კითხების საზოგადოების“ მარაზიაში—შ. ქუჩუკაშვილთან, ნაძ-

ლავევის, ავჭალის, ვერის და ავლაბრის ბიბლიოთეკებში.

რედაქციის აღრესი: თვილისი, ელისაბელის ქ., სახლი № 1.

Открыта подписка на 1909 годъ на газету

„ЗАКАВКАЗЬЕ“

(ГОДЪ ВТОРОЙ)

ПОДПИСНАЯ ЦЕНА:

Съ доставкой въ Тифлисъ:

Съ пересылкой въ другіе города:

за годъ 6 р. — к. за годъ 8 $\frac{3}{4}$ р. — к.

за полгода 3 р. 50 к. за полгода 4 р. 50 к.

Помѣсячно повсюду 75 коп. Отдельныи №—3 коп. Загра-
ницу вдвое. За перемѣнку адреса городского на иногородній—1 р.,

съ иногородняго на иногородній—50 коп.

Адресъ редакціи: Гифлісъ, Эриванская площадь, д Гургенова,
общій входъ съ конторой нотаріуса Мгеброва. Редакція откры-
та отъ 9-ти до 4-хъ час. дня и отъ 7-ми до 8-ми час. вечера.

Лично редакторъ принимаетъ отъ 12—1 час. дня.

Редакторъ-Издатель Г. І. Амираджиби.

მიიღება ხელის მოწვევა 1908 წლისათვის.

ჩ რ ი ე ტ ბ

1909 წელს გაზრით გამოვა იმავე პროგრამით, როგორითაც მდგომარე წელს გამოდიოდა. მომავალ წელს გაზრით გაუმჯობესებული იქნება შინაარსით.

ეფექტ დღიურ გამოცემის გარდა 1909 წელს გაზეთს ეჭნება

სურათებიანი დამატება

დამატება გამოვა კვირაში ერთხელ — კვირაობით.

გზეთს ფს დმტბ 6: წლით როგორც ქალაქში ისე ქალაქ გარედ ლირს 8 მან. 50 კ., ნახევარი წლით—5 მან.
10 კაპ., ერთი თვით—1 მან.

ცალბე ნომერი ეგევან ერთი შაური. დამატებიანი ნომერი (კვირისა) 7 კაბეიკი

ვინც 15 იანვრამდე გაზეთს გამოიწერს და სამ მანეთს შემოიტანს, იმას მიეცემა კედლის თვიური პატარა

გ ა ლ ე ნ დ ა რ ი 1909 წ ლ ი ს ა

ხელის-მოწერა ჭერ-ჭერთბით მიიღება მხრიდად ტფილისში:

„დროების“ კანტორაში—დიდი ვანქის ქუჩა, № 12; წერა-კითხვის საზოგადოების წიგნის ეალაზიაში შ. ქუჩუკაშვილთან—სასახლის ქუჩა, თავალაზნ. ქარგასლა; ნაძალადევში მეპურე მელიტონ ღოღობერიძესთან—მაგისტრალი ქუჩაზე, გრიბოედ ჩარკვიანის სახლში; რკინის გზის მთავარ სახელოსნოში ვანო პავლევაზესთან—ტრკარნი ცენტ.

ხელის მოწვერთა საყურადღებოდ

კანტორა უმორჩილესად სთხოვს ახალ ხელის მომწერთ, თუ ვინიც მოახერხებენ ფულის კანტორაში შეტანას, დამტარებლებს გადასცენ იგი მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც ეს უკანასკნელნი კვიტანციას წარუდგენენ.

ხელის-მოწერა რედაქციის კანტორაში შეიძლება: დილით 8-დან 3 საათამდე. საღამოთი 5-დან 8 საათამდე.

ადრესი: თიფლის, რედაქცია „დროება“ И. С. АГЛАДЗЕ.